

# "რბილი კვერცხი"

## ექსპერიმენტის არსი

ექსპერიმენტით ჩვენ ვიგებთ, თუ რისგან შედგება კვერცხის ნაჭუჭი.

გამოყენების სფერო/საკვანძო სიტყვები

კვერცხი, ნაჭუჭი

## საჭირო მასალა

კვერცხი,  
ძმარი (ძმარმუავას 10% წყალხსნარი)

## უსაფრთხოება

ექსპერიმენტი სრულიად უსაფრთხოა

## განსაკუთრებული პირობები

არ არის საჭირო

## განხორციელება

ექსპერიმენტის მოსამზადებლად რამდენიმე დღე არის საჭირო. მინის ქილაში ვასხამთ ძმარს და მასში კვერცხს ვათავსებთ. 2 - 3 დღის შემდეგ ნაჭუჭი უნდა დარბილდეს, შემდგომი ორი დღის შემდეგ კი - გაქრეს. ასე დამუშავებული კვერცხი მსუბუქია და კაუჩუკის ბურთივით დახტის.

## განმარტება

ნახშირმჟავა კალციუმი (კალციუმის კარბონატი  $\text{CaCO}_3$ ), რომელიც განაპირობებს ნაჭუჭის სიმაგრეს სუსტ მჟავებში იხსნება, მაგალითად ძმარმჟავაში. წარმოიქმნება წყალში ხსნადი მარილი - კალციუმის აცეტატი  $\text{Ca}(\text{CH}_3\text{COO})_2$ , ნახშირბადის (IV) ოქსიდი და წყალი:



ნახშირბადის (IV) ოქსიდი ბუშტუკების სახით წარმოიქმნება ნაჭუჭზე და შემდეგ ხსნარიდან ჰაერში გადადის.

## ალტერნატიული ვარიანტები

ექსპერიმენტი შეიძლება გამოვიყენოთ კბილების კარიესთან დაკავშირებულ პოპულარულ ლექციაში.

## გასათვალისწინებელი მომენტები

კვერცი თანაბრად უნდა იყოს ძმარში დაძირული. მისი ნაწილი, რომელიც ხსნარს ზემოთ დარჩება, მიმდინარე პროცესში მონაწილეობს ვერ მიიღებს.